ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2401931

ნომერი: AR1367968

თარიღი : 06.01.2016

გაცემის თარიღი : 27.01.2016

გაცნობის თარიღი : 27.01.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა უნივერსიტეტი ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- დავით კორახაშვილი პ/ნ 14001004970
- თბილისი ლუბლიანას ქ. N 44 ბ. 36

ორგანიზაცია:
- შპს "საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია" კოდი: 412670097

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 25.08.2015 წ. №2156339 ბრძანებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 31.12.2015 წ. #AR1367968 განცხადებით მომართა დავით კორახაშვილმა (თანაგანმცხადებელი შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ დირექტორი ნიკოლოზ ქიზიყურაშვილი) და მოითხოვა სამსახურის 25.08.2015 წ. №2156339 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ 25.08.2015 წ. №2156339 ბრძანებით #01.14.06.006.044 (634 კვ.მ.) და #01.14.06.006.033 (7500 კვ.მ.) საკადასტრო ერთეულებზე სამეურნეო ობიექტის და მისი ადმინისტრაციის შენობის (ოფისები) ასაშენებლად დამტკიცდა სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები.
განმცხადებლის მიერ სამსახურში წარმოდგენილი იქნა ახალი ამონაწერი და საკადასტრო გეგმა საჯარო რეესტრიდან (საკადასტრო ერთეული #01.14.06.006.052 ფართობი – 8134 კვ.მ.), რომლის თანახმადაც შეცვლილია საკადასტრო ერთეულის მონაცემები.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

ვინაიდან, კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, აღნიშნული ცვლილებები უნდა აისახოს სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დამკვეთის მოთხოვნის დაკმაყოფილება.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 25.08.2015 წ. №2156339 ბრძანებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებს დაემატოს ახალი საკადასტრო გეგმა საჯარო რეესტრიდან (რეგისტრაციის №882015578845, მომზადების თარიღი: 12.10.2015 წ; საკადასტრო კოდით: #01.14.06.006.052, ფართობი – 8134 კვ.მ.);
2. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 25.08.2015 წ. №2156339 ბრძანებით დამკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ: მიწის ნაკვეთის ფართობი მიეთითოს-8134 კვ.მ., საკადასტრო კოდი დაფიქსირდეს-#01.14.06.006.052;
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 25.08.2015 წ. №2156339 ბრძანებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებს დაემატოს დოკუმენტაცია:
   - ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს სხდომის ოქმი #1 (11.01.2016 წ.);
   - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება;
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 25.08.2015 წ. №2156339 ბრძანებით დამკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებთან ერთად;

- კითხვების შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ: მერიის ცხელ ხაზს 2722222, არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციას, ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზს 2378346. ასევე მობრძანდეთ არქიტექტურის სამსახურის საკონსულტაციო ოთახში შარტავას ქ. #7 მერიის შენობა მეორე სართული ოთახი #9, ან რაიონულ გამგეობებში არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენლებთან.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის არქიტექტურა

ბრძანება № 51
"03" 02 2016

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 27 იანვრის N2401931 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

2015 წლის 31 დეკემბერს AR1367968 განცხადებით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს მომართა მოქალაქე დავით კორახაშვილმა და მოითხოვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2015 წლის 25 აგვისტოს N2156339 ბრძანებით N01.14.06.006.044 (634 კვ.მ.) და N01.14.06.006.033 (7500 კვ.მ.) საკადასტრო ერთეულებზე სამეურნეო ობიექტის და მისი ადმინისტრაციის შენობის (ოფისები) ასაშენებლად დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების განხორციელება. განმცხადებლის მიერ განაცხადის ველში „განსაზღვრეთ განაცხადის მდებარეობა რუკაზე“ წარმოდგენილი იქნა ახალი ამონაწერი და საკადასტრო გეგმა საჯარო რეესტრიდან საკადასტრო კოდით: N01.14.06.006.052 (ფართობი: 8134 კვ.მ.). შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 25 აგვისტოს N2156339 ბრძანებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა განხორციელდა ახალი საკადასტრო გეგმის (რეგისტრაციის №882015578845, მომზადების თარიღი: 12.10.2015 წ; საკადასტრო კოდით: N01.14.06.006.052, ფართობი: – 8134 კვ.მ.) დაფიქსირების მიზნით. თუმცა, დგინდება ის გარემოება, რომ ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სამშენებლო მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდით: 01.14.06.006.052) საკადასტრო კოდი, ფართობი და კონფიგურაცია კვლავ შეცვლილი იყო (საკადასტრო კოდი: 01.14.06.006.054). შესაბამისად, N01.14.06.006.052 საკადასტრო კოდის ნაცვლად უნდა დაფიქსირებულიყო N01.14.06.006.054.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

შესაბამისად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 27 იანვრის N2401931 ბრძანებაში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე–6 თავის, 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 27 იანვრის N2401931 ბრძანებაში, კერძოდ, სამშენებლო მიწის ნაკვეთის N01.14.06.006.052 საკადასტრო კოდის ნაცვლად დაფიქსირდეს N01.14.06.006.054 და 2016 წლის 27 იანვრის N2401931 ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის პირველი და მეორე პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 25.08.2015 წ. N2156339 ბრძანებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებს დაემატოს ახალი საკადასტრო გეგმა საჯარო რეესტრიდან (რეგისტრაციის N882015747741, მომზადების თარიღი: 28.12.2015 წ; საკადასტრო კოდით: N01.14.06.006.054, ფართობი – 7634 კვ.მ.)“;

„2. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 25.08.2015 წ. N2156339 ბრძანებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ: მიწის ნაკვეთის ფართობი მიეთითოს-7634 კვ.მ., საკადასტრო კოდი დაფიქსირდეს- N01.14.06.006.054“;

2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 27 იანვრის N2401931 ბრძანებასთან ერთად;

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: შარტავას ქუჩა #7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

სამსახურის უფროსი დიმიტრი მოსულიშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება №124

"3" თებერვალი 2016 წ.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 31 აგვისტოს №3788 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61–ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის,” საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს 2016 წლის 11 ინავრის სხდომის №1 ოქმის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 31 აგვისტოს №378 ბრძანების პირველ პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„1.ქ. თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.14.06.006.054) სამეურნეო ობიექტისა და მისი ადმინისტრაციული შენობის (ოფისები) განთავსების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება.“

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

დავით ნარმანია